მარნეულის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით შექმნილ
სამუშაო ჯგუფის სხდომის

ოქმი №3

ქ. მარნეული

30.08.2021 წელი

სხდომის თავმჯდომარე: ზაურ ტაბატაძე /მერის მოვალეობის შემსრულებელი/

სხდომის მდივანი: ლარისა გელაშვილი /ბიუჯეტის დაგეგმვისა და ანალიზის განყოფილების უფროსი/

სხდომას ესწრებოდნენ: როინ დეკანოიძე/მერის მოადგილე/, ვუგარ მამედოვი /საფინანსოსაბიუჯეტო სამსახურის უფროსი/, თემურ შუბითიძე / ქონების მართვისა და მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი/, ბექა აბდელანი/ ინფრასტრუქტურის და ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი/, ილია ყალაბეგაშვილი /ურბანული განვითარების, სივრცითი მოწყობის,არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი/, გიორგი მეურმიშვილი / ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურის, სპორტის, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფროსი /.

სხდომის დღის წესრიგი:

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების ბიუჯეტის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის პროექტის განხილვა; /მომხს.ვ.მამედოვი/

მოისმინეს: საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა წარმოადგინა 2022-2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტის , (სადაც გათვალისწინებული იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ N 04-03/89431, 14/07/2021წერილით „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 96-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე მოწოდებული 2022-2025 წლების ძირითად საბიუჯეტო პარამეტრები და მაკროეკონომიკური პროგნოზები, კერძოდ რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის, საშუალო წლიური ინფლაციის და ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების შესახებ), ასევე მარნეულის მუნიციპალიტეტის 2021-2024 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის ბაზაზე დაყრდნობით შემუშავებული 2022-2025 წლების ბიუჯეტის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის პროექტი.

სიტყვით გამოვიდნენ:

მერის მოვალეობის შემსრულებელმა ზაურ ტაბატაძემ აღნიშნა, რომ 2022-2025 წლების ბიუჯეტის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა იქნება ბაზა საბიუჯეტო პროცესის შემდგომი ეტაპებისათვის და დაავალა საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს იმოქმედოს სრულ კოორდინაციაში მერიის სამსახურებთან და საბიუჯეტო დაწესებულებებთან, რათა დადგენილ ვადებში მომზადდეს საშუალოვადიან სამოქმედო გეგმაზე დაყრდნობით 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი და პრიორიტეტების დოკუმენტი.

აზრი გამოთქვეს:

სამუშაო ჯგუფის წევრებმა გამოხატეს მზაობა იმოქმედონ შეთანხმებულად საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურთან ერთად და საჭიროების შემთხვევაში დაზუსტდეს მათ დაქვემდებარებაში არსებული პროგრამების/ქვეპროგრამების/ღონისძიებების ზღვრული მოცულობები და ხარჯთაღრიცხვები დაზუსტების შემთხვევაში საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმაში შესატანი ცვლილებები წარმოადგინო

გონივრულ ვადებში ბიუჯეტის პროექტის წარდგენამდე ერთი თვის ადრე, რათა საფინანსო-საბიუჯეტ
სამსახურს ჰქონდეს ვადა შენიშვნების გათვალისწინებისა და 2022 წლის ბიუჯეტის პროექტში ასასახად.

დაადგინეს: მოწონებულ იქნას მარნეულის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების საშუალოვადიან
სამოქმედო გეგმა და მუნიციპალიტეტის სამსახურებმა გააგრძელონ მუშაობა საბიუჯეტო კალენდრის
მიხედვით.

სხდომის თავმჯდომარე: ზაურ ტაბატაძე

სხდომის მდივანი: ლარისა გელაშვილი

სხდომის დამსწრეები:

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის
უფროსი ვუგარ მამედოვი

ინფრასტრუქტურის და ეკონომიკის განვითარების
სამსახურის უფროსი ბექა აბდელანი

ურბანული განვითარების, სივრცითი მოწყობის,
არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი ილია ყალაბეგაშვილი

ქონების მართვისა და მატერიალურ–ტექნიკური
უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი თემურ შუბითიძე

ჯანდაცვის,სოციალური უზრუნველყოფის,კულტურის,
სპორტის,ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის
სამსახურის უფროსი გიორგი მეურმიშვილი